189 484

№ 407. კვირა, 21 დეკემბერი. 1896-1897 კვირა, 21 დეკემბერი, № 407.

რედაქცია:
ტფილისი, ფრეილინის ქუჩა, № 13.
ხელის მომწერნი გაზეთის დასაკვეთად მიჰმართვენ რედაქციას დილის 10 საათიდან 3 საათამდე საღამოს 6—7 საათამდე და „წერა-კითხვის გ. საზოგადოების“ წიგნის მაღაზია.
ხელ-მოუწერელ წერილებს რედაქცია არ ბეჭდავს
პირისპირ მოლაპარაკება რედაქტორთან შეიძლება ყოველდღე.
ტელეფონი № 363.

ცნობის ფურცელი

ყოველ-დღიური სახალხო გამოცემა

გაზეთის ფასი
ერთის წლით 6 მან., ნახევარის წლით 4, მან
თითო ნომერი 3 კაპეიკი
ფასი განცხადებისა
ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე 10 კაპ.
მეოთხეზე 5 კაპ.
Редакція
„Цнобисъ Пурцели“
Тифлисъ, Фрейлинская № 13.
Телефонъ № 363.

ქართული თეატრი
კვირას, 21 დეკემბერს
ქართული დრამატიული დასისაგან ე. ს. მესხის მონაწილეობით
წარმოდგენილი იქნება
პირველად ამ სეზონში
და-ძმა
ისტორიული დრამა 5 მოქმ. ვ. გუნიას-მიერ.
მარინეს როლს ასრულებს ე. ს. მესხი, ოტია ჯოლიას პირველად — კ. მესხი, ადამიას — ზ. გამყრელიძე
მოქმედნი პირნი:

ევჰიად-ფაშა, ოსმალთ სპასალარი	ბ. გედევანოვი
ყარაიოღლი, ჯარის უფროსი	ბ. ადამიძე
ჯან-ვერდი, მსაჯული	ბ. საფაროვი
ყარაგიოზ, ოსმალთ მხედარი	ბ. თამაზიშვილი
ოტია ჯოლია, თავადი, ოსმალთ მომხრე	ბ. მესხი
გიორგი ადამია, ახალგაზრდა მეგრელი	ბ. შათირიშვილი
ქუჩუკ ადამია, ამისი მამა	ბ. გამყრელიძე
გაიოზ ფალავა	ბ. სვიმონიძე
მარინე, და გაიოზისა	ქ. მესხი
გადია, ადამიას ცოლი	ქ. ჩერქეზიშვილისა

მხედარნი, ტუსაღები, ოსმალნი და სხვ.
ადგილების ფასი ჩვეულებრივია
დასაწყისი 8 საათზე რეჟისორი კ. მესხი.

დაიბეჭდა და ისყიდება ყველგან ქართულ წიგნებით მოვაჭრებთან
ი. იმედაშვილისა და ს. ჭელიძის გამოცემანი № 6
დიდ-მოურავიანი
ანუ
გიორგი სააკაძის ცხოვრება
ისტორიული პოემა იოსებ ტფილელისა
წინასიტყვაობით და ავტორის ბიოგრაფიით, სუფთად კარგ ქაღალდზე დაბეჭდილი
104 (86+XVIII) გვ.
ფასი ექვსი შაური
ვინც ათს წიგნს ან მეტს იყიდის ნაღდ ფულით, მანეთზე დაეთმობა 40%.
№ 7
ხალხური პოეზია
და
მელიტონ კელენჯერიძე
კრიტიკული წერილი ფ. მახარაძისა
ფასი ერთი აბაზი
წიგნების საწყობი გამომცემელთა წიგნთ-სავაჭროში, გიორგიევის ქ. (ალექს. ბაღის პირდაპირ), არჯევანიძის სახლში, № 12.
ფოსტის ადრესი: *Тифлисъ, Георгіевская, Имедашвили и Челидзе.*
(10—5)

ТОРГОВЫЙ ДОМЪ
С. П. Павловъ.
Тиф. Лорисъ-Меликовская № 6
Телефонъ 349

ТОРГОВЫЙ ДОМЪ
С. П. ПАВЛОВЪ.
Тиф. Лорисъ-Меликовская № 6
Телефонъ 349.

სავაჭრო სახლი
ს. პ. პავლოვი და კ.
ტფილისი, ლორის-მელიქოვის ქ., № 6, სასულიერო სემინარიის პირდაპირ.
მთელს ქვეყნიერობაზე განთქმული და საუკეთესო
საკერავი მაშინები
ხელით სატრიალებელი 22 მან. 40 მანეთამდე,
ფეხით სატრიალებელი ყოველ გვარ საქმობისათვის ადვილი და მსუბუქად დასატრიალებელი.
მაშინების სიკეთეს სამის წლით თავდებად ვუდგებით.
ფასის შემოტანა შეიძლება ნაწილ-ნაწილად.
(100—97 წ.)

კვირას, 21 დეკემბერს
გამართული იქნება ტფილისის სობრანიეში „წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების“ სასარგებლოდ
კონცერტი,
რომელშიაც მონაწილეობას მიიღებენ: ქ-ნი სარაჯიშვილისა და ბ-ნნი აკაკი, ველიჩკო, გ. დ. აბაშიძე, კნინა, კარგარეთელი, სარაჯიშვილი, ყარაშვილი და საერო ხორო კავსაძისა და მჭედლიშვილისა.
კონცერტის შემდეგ იქნება ცეკვა
დასაწყისი 8½ საათზე
ბილეთები ისყიდება „წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების“ კანცელარიაში, ხოლო კონცერტის დღეს თვით სობრანიეში შვეიცართან.

გამოვიდა და ისყიდება
ძმათა თავართქილაძეთა ახლად გამოცემული
დრამატიული თხზულებანი
აკაკ. ცაგარლისა
მეორე ტომი, ფასი 50 კაპ.
კედლის კალენდარი
1898 წლის
ფასი 30 კ. (25—7)

მთავრობისაგან ნება დართული
პანსიონი და სასწავლებელი
მასწავლებელი ქალის
ნ. დიდებულიძისა
ტფილისი, მიხეილის ქუჩა, ხეჩატუროვის სახ. № 146.
ღებულობენ ბავშვებს მოსამზადებლად საშუალო სასწავლებლებში.
ბავშვები მიიღება სასწავლებლად და საცხოვრებლადაც.
მიიღება აგრეთვე საქალებო გიმნ. მოწაფეენიც სადგომად და საცხოვრებლად.
პანსიონში ასწავლიან მუსიკას (პიანოზე და ვიოლონზე)
მოლაპარაკება პირობებზე დილის 10 საათ. 3 საათამდე.
Пансіонъ и училище
Учительницы
Н. Дидебулидзе
Тифлисъ, Михайловск. ул. № 146.
Принимаются дѣти женскаго пола приходящ. и полнымъ пансіонерк. Квартиры съ полнымъ содержаніемъ для учениц гимназіи. Обученіе музыкѣ
(150—52)

პირველი კერძო სამკურნალო
ექიმის ნავასარდიანისა.
(კუკიაში, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ).
ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველ დღე, კვირა დღეების გარდა.
დილაობით:
ბ. ა. ნავასარდიანი. 11—12 საათ. სადოსტაქრო, ვენერიული (სიფილისი) საშარდეს ავადმყოფობანი.
გ. მ. ჩიქოვანი, 9—10 საათ. სნეულებანი: შინაგანი, თვალისა და ნერვებისა.
ექიმი ქალი რუდენკო 10½—11½ ს. ბავშვებისა და ქალების ავადმყოფ. და ყურის ყვავილს.
ზ. ი. ბაბანასიანცი. დილის 11½—12 საათ. ქალთა ავადმყოფობათ.
ი. ფ. პროტასევიჩი 12—1 საათ. ყურების, ცხვირის, ყელის და გულის ტკივილებით.
ა. ფ. კარაპეტიანცი. 1—1½ ს. შინაგანი და ბავშვების ავადმყოფ.
ა. გ. გურკო. დღით 1½—2½ ს. შინაგანი, ყურის, ყელის და საშარდეს ავადმყოფობით.
საღამოობით
ა. მ. შუდინოვი. 5—6 საათ. შინაგან და ბავშვების ავადმყოფ.
ბ. ა. ნავასარდიანცი 6—6½ ს.
ა. ნ. შპაკოვსკი 6—7 საათ. ნერვების, ვენერიულ და ხელაკანის ავად.
ტ. ი. რუდენკო—სამკურნალოში გამოიკვლევს ქიმიურად და მიკროსკოპიულად შარდს ნახველს, სისხლს რძეს და სხვ.
რჩევა—დარიგებისა და რეცეპტების დაწერის ფასი ათი შაური; ღარიბთათვის უფასოდ; ფასი კონსილიუმისა და ოპერატიებისათვის—მორიგებით.
დირექტორი სამკურნალოსი, დოქტორი მედიცინისა ნავასარდიანი.
Первая частная лѣчебница *Д-ра Навасардіана*
Тифлисъ, противъ памятн. Воронцову.

სამკურნალო და ამბულატორია
ს. ბ. თოფურიასი
ქუთაისში.
სამკურნალოში 50 საწოლია ავადმყოფთათვის. მიიღებიან ავადმყოფნი: შინაგანისა, ნერვების, საქირურგო, კანისა და დედათა ავადმყოფობისანი.
გადამდებ სენით ავადმყოფნი არ მიიღებიან:
ავადმყოფთ სინჯავენ დილის 11 საათიდგან ნაშუადღევის 3 საათამდე. შინაგან და ნერვების ავადმყოფობას სწამლობს ს. ბ. თოფურია. საქირურგიო ავადმყოფობას და სიფილისს ფ. ქ. გერაძე.
დედათა ავადმყოფობას მკურნალი ქალი მ. თ. კოგანი.
თვალების ავადმყოფობას—ი. კ. ვარშავსკი.
ამბულატორიაში არის კაბინეტი, საქიმიო და საბაქტერიოლოგიო გამოკვლევისათვის, ელექტრონით წამლობისთვის და მასაჟისთვის.
სამკურნალოს დირექტორი ს. ბ. თოფურია.
Лѣчебница С. В. Топуріа въ Кутаисѣ.

დეპეშები

[illegible] „ცნობის ფურცლის“

რუსეთის სატელეგრაფო სააგენტოსაგან.

19 დეკემბერი

პარიჟი. პანამის საქმე. სამჯავრომ გადასწყვიტა გადიდოს ერთის თვით საქმის განხილვა ნაკოს დანაშაულის შესახებ, რომელიც აქ არ არის ეხლა.

ლონდონი. „რეიტერის სააგენტო“ იუწყება, რომ 12—20 ინგლისელი ოფიცრები მიდიან ეგვიპტეში, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ იქ აგზავნიდნენ ახალს ჯარს, ან და ჩქარობდნენ ხალიფის წინააღმდეგ ომის გათავებას.

სტამბოლი. ოსმალეთის მთავრობამ აუწყა ელჩებს, რომ მას განზრახვა აქვს კრიტოსზე ახალი ჯარის-კაცნი დააბინაოს 4, 500 მაგივრად, როდესაც მათ სამსახურის ვადა გაუთავდებათ; ელჩებმა უარყვეს ეს განზრახვა, რადგან უდროვოდ მიაჩნიათ.

◆

ახალი ამბავი

⁂ **თავ. მუხრან-ბატონის დაჭრა და პლიუშჩევსკის სიკვდილი.** გუშინ, 20 დეკემბერს, საღამოს 8 საათზე. «კრუჟოკის» შესავალ კარებთან ცნობილი პლიუშჩევსკი უცდიდა ვიღაცას. სწორედ 8 საათზე თავ. კ. ბაგრატიონ-მუხრან-ბატონი მოვიდა თავისი ეტლით, გადმოხტა ეტლიდან თუ არა, პლიუშჩევსკიმ იძრო ხანჯალი და გაემართა მუხრან-ბატონისაკენ. მუხრან-ბატონმა მისი ხანჯალი ჯოხით მოიგერა—ასე რომ პლიუშჩევსკიმ მხოლოდ პატარა ჭრილობა მისცა ხელზე თავადს; მაშინ გაბრაზებულმა პლიუშჩევსკიმ ამოიღო დიდი რევოლვერი და ესროლა ერთჯერ—მერმე თვითონ დაიცა საფეთქელში და იქვე გარდაიცვალა—მუხრან-ბატონი კი დაჭრილია მუცელში—გუშინ 9 საათზე ის ძალიან კარგათ გრძნობდა თავს. აქიმება ვოინო, როზენბაუმი და მაღალაშვილი თავს აყენია... დაწვრილებით ხვალ...

⁂ **ქართული წარმოდგენა ეფ. მესხის მონაწილეობით.** დღეს ქართულ თეატრში ჩვენის დიდად ნიჭიერის არტისტი ქალის ეფემია მესხის მონაწილეობით წარმოდგენილი იქნება ისტორიული 5 მოქმედებიანი დრამა „და-ძმა“, რომელშიაც ეფემია მესხი სთამაშობს პირველად მარინეს როლს. ამავე საღამოს კ. მესხიც პირველად სთამაშობს ოტია ჯოლიას როლს, რომელსაც ძველად კ. ყიფიანი სთამაშობდა ხოლმე.

⁂ **კავკასიის სამოსწავლო ოლქის ანგარიში 189$_{6/7}$ წლისა.** ოლქის მმართველობის ანგარიშიდამ სჩანს, რომ 1897 წლის 1 იანვრამდე ითვლებოდა მთელს ოლქში სულ—10 სავაჟო გიმნაზია, 4—სავაჟო პროგიმნაზია, 8—რეალური სასწავლებელი, 11—საქალებო გიმნაზია 7—საქალებო პროგიმნაზია, 1—საოსტატო ინსტიტუტი, 4—საოსტატო სემინარია, 38—სამოქალაქო სასწავლებელი, 5—ქალაქის სკოლა,

ეროვნული ბიბლიოთეკა

3—საქალებო მარიამის სასწავლებელი, 3—საზღვაოსნო სასწავლებელი, 10—სამრეწლო სასწავლებელი 127—კერძო სასწავლებელი და 1088—პირველ დასაწყისი სკოლები —სულ კი —1320 სხვა და სხვა სასწავლებელი. მოწაფეთა რაოდენობა: სულ ყველა სასწავლებლებში—113,083 მოწაფე ყოფილა ამ წლის 1 იანვარს; მათგან ვაჟები—86,002 და ქალები—27,081; ვაორ ტომობით ასე განაწილდებიან: რუსები—53,9%, ქართველები—18,3%, სომხები 14%, თათრები—3,40/0, მთიულები—2,30/0, ებრაელნი—1,20/0 და სხვა ტომისანიც—6,90/0 წოდებრივად განაწილდებიან: აზნაურთა, მოხელეთა და ოფიცერთა შვილნი—11,90/0, სასულიერო წოდებისა—1,80/0, მოქალაქენი—22,90/0, გლეხნი—62,60/0 და უცხოელნი—0,80/0.

⁂ **კავკასიელი სტიპენდიატები უნივერსიტეტებში.** კავკასიის მთავარმართებლის განკარგულებით ჩარიცხულ იქმნენ კავკასიის სტიპენდიატებად: ხარკოვის უნივერსიტეტში სამკურნალო ფაკულტეტზე ვარლამ ოსეშვილი და მოსკოვის სამეურნეო ინსტიტუტში—გიორგი თარხან-მოურავიშვილი.

⁂ **ახალი წიგნი.** კავკასიის სამეურნეო საზოგადოებამ გამოსცა ქართულსა და რუსულს ენებზე ცალკე ბროშიურად დ. მ. როსსინსკის თხზულება: „როგორ უნდა ააცდინოთ აბრეშუმის ჭიას დასნეულება“. წიგნაკი ღირს 5 კაპ; რა თქმა უნდა, წიგნი საჭირო იქმნება ჩვენ თამეაბრეშუმეთათვის.

⁂ **სასულიერო სემინარიის მოწაფეთა დახმარება.** ტფილისის მართლმადიდებელთა სასულიერო სემინარიის მოწაფეების დასახმარებლად გადადებულ იქმნა 300 მანათი

⁂ **გადამდები ავადმყოფობანი.** 15 ნოემბრიდამ—8 დეკემბრამდე ქ. ახალ-ქალაქში წითელათი 20 ბავშვი გამხდარა ავად და მათგან 1 მომკვდარა, 2—მორჩენილა და სხვანი ჯერ კიდევ ავად არიან. ერთაწმინდაში ოქტომბერსა და ნოემბერში ავად გამხდარა ყვავილით—20 ბავშვი, მათგან 4 მომკვდარა.

⁂ **«მახხასნის სავაჭრო ამხანაგობის დებულის» წესდების დამტკიცება.** ბ. ტფილისის გუბერნატორს უკვე დაუმტკიცებია წეს-დება „მახხასნის სავაჭრო ამხანაგობისა“. (ქიბიკის დეპო).

⁂ **დამის-გასათევის თავ-შესაფარის კურთხევა.** მომავალს კვირაში ვორონცოვის ქუჩაზე, ქალაქის მეექვსე ნაწილში აკურთხებენ ქალაქის თვითმმართველობის მიერ გამართულ თავ-შესაფარს მუშა ხალხისათვის.

⁂ **ბუღ ლონებისაგან (угаръ) დამფუფნი.** თბილისის რკინის გზის სადგურზედ მოსამსახურეთ ამ ორი დღის წინათ იმით ძალიან გაეხურებინათ ქვა-ნახშირით სახლი და დაწოლილიყვნენ. მეორე დღეს ორთავენი ცოცხალ-მკვდარნი ნახეს, თურმე «უგარი» მოსვლოდათ და მკვდარსავით გამხდარიყვნენ. ეს ორი დღე საავადმყოფოში არიან ორთავენი და არც უკეთ და არც უარესად არიან.

⁂ **სერობიანცის არჩევნების გამო.** საგანგებო მინდობილობათა მოხელე ბებუთოვმა მოახსენა თბილისის გუბერნატორს, რომ მისდამი მინდობილი ზოგიერთი ხელოსანთა საჩივრის გამოძიებამ ხელოსანთა მოურავის სერობიანცის უკანონო მოქმედება დამტკიცდაო. ბ. სერობიანცს ხელოსნებისათვის ატესტატის მიცემაზედ უკანონოდ უხდევინებია სამი მანეთის მაგიერ 25 მანეთიო და სხვა მრავალი უკანონო რამ ჩაუდენიაო.

⁂ **ყინულების ზიდვის გამო.** თბილისში წყალი გაიყინა და ჩვეულებრივი ყინულის ზიდვა დაიწყეს ზაფხულისთვის შესანახად. მაგრამ რადგან ზოგიერთ ადგილას უსუფთაო ყინულია, ამიტომ ქალაქის გამგეობამ გადასწყვიტა მიხაილოვის ხიდის ქვემოდ ყველას აღუკრძალოს ყინულის ამოღებაო.

⁂ **არჩევნების გაუქმება.** თბილისის გუბერნატორმა ბიკოვმა სცნო რა უკანონოდ ქალაქის გლეხთა არჩევნები, ბრძანება გასცა ხელახლავ მოახდინონ არჩევნები, როგორც დეპუტატებისა, აგრეთვე მოურავისა და ამასთანავე თავ. ბებუთოვი დაუნიშნა ხელმძღვანელად, რომელსაც დაავალა არჩევნები უბან-უბან უნდა მოხდეს და არა საზოგადოთო, ე. ი. მთელი ქალაქი ათს უბნად უნდა გაიყოსო.

⁂ **უვარგისის თაფლის გაჭრობა.** მომავალის დღესასწაულებისათვის დიდძალი თაფლი სადდება ტფილისში და «სავაჭრო პოლიცია» კი ყურადღებას არ აქცევს ჩარჩების თავგასულობას. ისინი წმინდა ბადაგსა ჰყიდიან, რომელიც 6—7 კ. ღირს, ან არა და შიგ შოტა სამთლიანს თაფლს გაურევენ და ნამდვილისა და წმინდა თაფლის მაგივრად ასაღებენ გირვანქას 14—15 კაპიკად.

⁂ **უბედური შემთხვევა გემზე.** ჩვენს მკითხველებს უკვე მოეხსენებათ, რომ შავს ზღვაზე, 15 დეკემბერს, ცოტა გასწყდა—კინაღამ დაიღუპა გემი, „ნოვოროსსიისკი“. ამ უბედურის შემთხვევის გამო გაზ. «ჩერნ. ვესტ.»-სა სწერენ იმ გემის მოგზაურნი საქმის დაწვრილებითს გარემოებას: გემი 15 დეკემბერს, ნაშუადღევის პირველს საათზედ გამოსულა სოხუმიდამ ბათომისაკენ; მშვენიერი დარი იყო და ზღვაც, თურმე, საკმაოდ მშვიდობიანი; საღამოს ცოტა ღელვა იგრძნეს, 12 საათზე-კი ისეთი ღელვა ატყდა, რომ გემი, თურმე, ორჯერ დაიმალა ტალღებში და „ცხვირს“ განუწყვეტლივ სცემდა უზარ-მაზარი ტალღები. გემს ბურღები მოეშალა და საშიშს მდგომარეობაში ჩავარდა. მოგზაურთ შიშის ზარი დასცემიათ და სცემიათ და ყველას თავი მოუყრიათ მესამე კლასში (300-მდე კაცი ყოფილა), და იქ შეუქნიათ წივილ-კივილი და აურ-ზაური; ყველანი დარწმუნებულნი იყვნენ, რომ მათი გადარჩენა ყოვლად შეუძლებელიაო; გასაოცარი სიმამაცე, მხნეობა და გულ-გმირობა გამოუჩენია გემის უფროსს ბ. ეშჩენკოს, რომელიც, თურმე, დამშვიდებით, აუჩქარებლად განკარგულებას შვრებოდა, ხოლო მისი 4 თანაშემწე და მეზღვაურნი თავ გამეტებით ცდილობდნენ უბედურების თავიდამ აცდენას; გემზე 30 ჯარის კაცი ყოფილან და ისინიც თურმე მხნედ და მამაცად ებრძოდნენ გაჭირვებას. როდესაც გემს მეტის მეტა გასჭირვებია, ბ. ეშჩენკოს ბრძანება გაუცია დასცალეთ გემი ბარგისაგანო, გადაუყრიათ ხუთი ათასი ფუთი ბარგი და გემი ცოტა დამსუბუქებულა.

ამასობაში გუდაუთის ნავთ სადგურთან მიაღწიეს კიდეც. იქაც ბ. ეშჩენკოს დიდი მხნეობა და საქმის ცოდნა გამოუჩენია; გადაუგდია ღუზი და შეუჩერებია გემი მეორე დღეს (16 დეკემბერს) 12 საათზე დღისით საჩქაროთ შეუკეთებიათ გემის დაშავებული ნაწილები და ფოთისაკენ გაეგზავრნენ. როგორც იქმნა მგზავრები დაამშვიდეს და გემი უვნებლად მიუყვნეს ფოთის ნავთ სადგურს საღამოს 6 საათზე. ამნაირად მოგზაურნი და თვით გემიც 17 საათის განმავლობაში საშინელს განსაცდელსა და გაჭირვებაში ყოფილა.

მოგზაურნი დასასრულ ამბობენ, რომ ჩვენის გადარჩენის მიზეზად თავდაპირველად უნდა ჩაითვალოს ის გარემოება, რომ გემი საუცხოვოდ არის მორთული და ადვილად შეიძლება ზედ ყოველისავე ზომების მიღება, ხოლო დიდის მადლობის ღირსია ბ. უფროსი გემისა, რომელმაც დაგვიმტკიცა, თუ რა გამოცდილი, მხნე და მამაცი უფროსი სჭირია გემის გაჭირვების დროსაო, აგრეთვე დიდად დაუმადლებენ და არასოდეს არ დაივიწყებენ უფროსის თანაშემწეების და მეზღვაურების თავ გამეტებულს მეცადინეობას ის 300 მოგზაურნი, რომელთაც, ეჭვი არ არის მათის მეოხებით შერჩათ სულიო.

⁂ **გურულების მოგზაურობა ამერიკის სხვა-და-სხვა ქალაქებში.** ამ სათაურს რომ ამოიკითხავს ცნობისმოყვარე მკითხველი, დიდად გაჰკვირდება და იტყვის: ნუ თუ ისე გათამამდა და გაყოჩაღდა ჩვენი ხალხი, რომ ამერიკის ქალაქებში მოგზაურობენო! მართლაც-და საკვირველია ძველ დროში გურიიდან ტფილისში ასვლა ისე საძნელო იყო, როგორც დღეს ამერიკაში; მაგრამ დღეს-კი იმდენს ცრემლებს აღარ აფრქვევენ თავიანთი დედები თუ ცოლები, თავიანთ ოჯახის შვილის გამგზავრებაზე ამერიკაში, რამდენსაც ძველს დროში ტფილისში გამგზავრებაზე თვალებს ისივებდნენ. დღეს ყველამ შეიგნო, რომ არც ერთს ქვეყანაში კაცი არ დაიკარგება და, მაშასადამე, არც სატირალსადარდელი რამ აქვს. პირიქით ბედნიერად იგი სთვლის თავისს თავს, ვინც მოესწრო იმ დღეს, რომ უცხო ქვეყნები ნახა—გაიგებს სხვა ხალხის ცხოვრებას და დაუბრუნდება სახლში მეტის სწავლა-ცოდნით აღჭურვილი. დღეს ზოგიერთ მდიდრების შვილები ხარჯს არ ერიდებიან და ევროპაში მიემგზავრებიან ცოდნის შესაძენად და ზოგი, ჩვენს შორის-კი იყოს და მარტო „მოდას“ აჰყოლია. რაღა გასაკვირველია უბრალო მუშა სოფლის კაცმა ცოტა პირადი სარგებლობის გულისთვის ევროპაში წავიდეს. ამ მოგზაურობით იგი არც მშობლის და ოჯახისას არას ხარჯავს, ისე მიდის და მოდის, ხოლო სურვილი მოგზაურობისა პირველი ნიშანია წარმატებისა და დაწინაურებისა.

ექვსი წელიწადია, რაც ათამდე გურულები ლუკა ჩხარტიშვილის მეთაურობით მოგზაურობენ ამერიკის სხვა-და-სხვა ქალაქებში. ხსენებული გურულები მიწვეულნი ყოფილან ერთს ცირკში ცხენზე მოთამაშეებად (ცხენოსნებად), ვითარცა წარმომადგენელნი კავკასიის ტიპის ხალხისა. ცირკში მიწვეულნი ყოფილან როგორც გურულები, ისე სულ ყველა ტიპის წარმომადგენელნი, მაგრამ ვერც ერთმა ტომის ხალხმა იმდენად ვერ დაიმსახურა, თურმე, ამერიკის საზოგადოების ყურადღება, რამდენადაც გურულებმა. ბ-ნს ლ. ჩხარტიშვილს საჩუქრად ოქროს მედალიც მიუღია, რომელსაც აწერია: „რუსეთის გამოჩენილ მოთამაშეს, საჩუქრად ამერიკის საზოგადოებისაგან“. მოუქცევიათ მისი სურათი სხვა-და-სხვა გვარი წარწერებით. ლ. ჩხარტიშვილს თავის-თავად შეუსწავლია ცხენზე «თამაში» და სიმკვირცხლით ცირკის მოთამაშეებიც-კი ვერ შეედრებიან. ჩხარტიშვილს მიეცით მხოლოდ ცხენ-უნაგირი, გაშლილი მინდორი და სხვა თქვენი არა უნდა-რა. ფეხზე დგომა, თავით დადგომა, ყირამალა გადმოხტომა და ისევ შეჯდომა ცხენზე, ყირამალა გადმოსვლა, ყოველივე ეს მისთვის ძლიერ ადვილია ძალზე გაჭენებულ ცხენზე. ამისთვის დაევალა ლ. ჩხარტიშვილს ამერიკის ცირკის პატრონისაგან წაეყვანა შვიდი-რვა კაცი ყოველ წლივ. მართლაც, ჩხარტიშვილმა ამ ექვსის წლის განმავლობაში ორმოც-და-ათამდე გურულებს უჩვენა ამერიკის სხვა-და-სხვა ქალაქები და არც ჯიბე ცალიერები დაბრუნებულან მასთან მოგზაურნი. თვიურად ღებულობდნენ ას-ას მანეთს ყოველივე ხარჯს გარდა და თან «ქვეყანა ნახეს».

კონტი

⁂ **საღ. ყარაიაზი. შემზარავი ამბავი.** ამიერ კავკასიის რკინის გზის სადგურ ყარაიაზედ შემდეგი უბედურება მოხდა: 11 ამ თვეს, როდესაც ბაქოში მიმავალი საქონლის მატარებელი № 63 დაიძრა, ამ დროს, ერთი სუფთად ჩაცმული ყმაწვილი კაცი ასე ჩვიდმეტ-თვრამეტის წლისა, მატარებლის ქვეშ მოჰყვა ეს ისე უეცრათ მოხდა, რომ შემწეობა ვერავინ მოახერხა და მატარებელმა შუაზედ გადასჭრა. სახე ისე აქვს დაშავებული დაჟეჟილი სისხლით, რომ არ გაირჩევა იმისი ვინაობა, ან რა სარწმუნოებისაა.

იროდიონ ოქრუაშვილი

⁂ **ს. გორა** (იმერეთი). შესანიშნავი ტბა. აბანოს მახლობლათ აღმოსავლეთის მხრით 200 საჟ. მოცილებით არის ერთი დიდი დამდგარი ტბა, რომელსაც ეძახიან «ტაბაყურა»-ს ტბას. ამ ტბის სიღრმე კარგათ არ იციან, ამბობენ 10—20 საჟენზედ მეტი იქნებაო. ზამთარ-ზაფხულ ერთ მდგომარეობაზედ არის არც მატულობს და არც კლებულობს. არც ერთ აბანოს სტუმარი ისე არ წავა სახლში, რომ ეს ტაბაყურა ორჯელ-სამჯელ არ ნახოს. აი რა არის ამის მიზეზი:

ამ ტბაზედ ერთი ძველი მოთხ
რობა დარჩენილი ხალხში. სამხრე
თის მხრით ტაბაყურას უფრო მაღა-
ლი ჩამოქცეული მთა გადმოსცქერის.
ამ მთის წვერზედაო, ამბობენ, იდგ
ერთი მოსახლე, რომელიც უქმ
დღეებს არაფრად აგდებდაო. ერთ-
ხელ ხარება დღეს დიასახლისი აკ-
ვანში ბავშს ძუძუს აწოვებდა და იმ-
ავე დროს რაღაცას ქსოვდაო. უცებ
მას გამოეცხადა ანგელოზი და უთ-
ხრაო, ქალო დღეს რა დღეაო. „ხა-
რება და ხარხალებაო. ჩემი ქმარ-
შვილის გახარებაო“ მიუგო ქალმაო
მაშინ დასწყევლა ანგელოზმა და
მთელი ოჯახობა ამ ტაბაყურაში ჩა-
იქშაო. დიასახლი თავის ბავშვიან-
აკვნიანათ გაქვავებულია და საქსო-
ვიც ხელში აქვსო.

ეს მოთხრობა ეგრე მტკიცედ არის
ხალხში გავრცელებული, რომ ყვე-
ლა ტაბაყურას მნახველი ცდილობს
როგორმე დაინახონ წყალში ის გა-
ქვავებული ოჯახობა.

ტაბაყურა და მის ახლო მახლო
ადგილები ეკუთვნის სოფელ გორა-
შივე შეძლებულ მცხოვრებთ კეთილ-
შობილებს ბ. გოცირიძეებს.

გარეგნობით ტბა მართლაც რომ
საუცხოვო სანახავია.

ერმ. გოგავა

⁂ **ს. ბახვი** (გურია). სა[illegible]
ლი და სასაცილო ამბები. წელს ბ
ხვეულებს, მგონი, ღმერთიც გვიჯა
რდება და ბუნებაც. ამიტომაც უ
და იყოს, რომ რაც ჯერ ჩვენში
მომხდარა, ისეთი ბევრი რამ მოხდ
ჯერ ერთი მწიფობის თვე “ყინვ
ბის“ თვედ გარდაგვექცა, ოცდა
რთმეტს გათოვლდა და მის შემდ
სულ წვიმს და თოვს, თითქო ია
ვარიაო. არც ერთი ურემი შე
არც ერთი კონა თივა-ჩალა სახლ
ჩვენ არ გვაბადია: სულ მინდო
ველშია და ტყეში. აი ამ ქრისტ
შობის თვემაც, ერთი თავში ვით
და კი გაგვეცნა მოწმენდილი ც
და მოკაშკაშე ვარსკვლავებით, მა
რამ მალე ისევ მოიღრუბლა, გაწვ
და და აი ეხლა თოვლიც მოდი
ჩვენც მაინც გული მაგრადა გვაქ
და არ გვეშინია: ახალი მამასახლი
გვწყალობს, «დიდს იმედებს იძლევ
ან კი რაღა გვიჭირს აწ ბაგველე
ამ მამასახლისისავე შემწეობ
აგერ ერთი წელიწადია, რაც ბახვ
საზოგადოებაში «უსწავლელ ფირალ
არ გაუჭაჭანებია, თუ რომ ღვთ
(და არა მამასახლისს?) შემწეობი
აწ ნასწავლნი წევრნი ბახვისანი ა
გარფირალნდენ, როცა სრულად მო
სალოდნელია, თუ ბახვის საზოგ
დო საქმეების აწეწილ-დაწეწილ
მდგომარეობას მხედველობაში მივი
ღებთ. მართლაც და ჩვენი საზოგა-
დოება დღეს საქმეების არევ-დარე
ვით და მარტო „მე“-ს გაღმერთებით
სამაგალითო და თითით საჩვენებელი
გამხდარა.

— სამაგალითო და მასაბამი საქმე
მაგრამ ყოველივე სიცუდის აღსაწე
რად როგორ მოიცალოს კალამმა
ჩემმა, პირველად «სამწერლოდ» ხე
ლში აღებულმა?! და აჰა მეც აღვ
ნიშნავ ერთ სასიხარულო და თანა
სასიქადულო მოვლენას, მით უფრო
სასიქადულოს, რომ მისი მომვლენი
მანდილოსანია, ქ.—ნი ნ. ქ.—ძისა
ამ საზოგადო დაკნინებისა და გათა
ხსირების დროს, როცა თითოეულ

ეროვნული ბიბლიოთეკა

ცალკე და ყველა ერთად სცდილობს სხვა დასცეს და მით თვით ხელი მოიბას და ჯიბე გაისქელოს, გამომდგარა ეს პატივცემული გვამი, პატივცემული ოჯახიშვილი და მეუღლე, აუყვანია ოციოდე შეგირდი ქალიშვილი და მისდგომია ძველებური ხელსაქნარებს, სოფლური ქსოვილების და ქარგვა-ქრა-კერვის აღდგენის, განახლება-შემუშავების, გაუმჯობესების და გავრცელების საქმეს! მით უფრო სასიხარულოა ეს მოვლენა, რომ, იქნება, ჩვენს ქალებსა,—რომელთაც, გარდა სადილ-ვახშმის შემზადებისა (და ხშირად არც ესაა იმათი საქმე!) არავითარი საქმე არა აქვთ ოჯახში და ასე უსაქმურად ატარებენ მთელ თავის სიცოცხლეს, ვითომც სხვის ბარგად და სარჩენად გაჩენილნი, ისე კი ისეთივე ადამიანნი, როგორც სხვები, საქმე გაუჩნდებოდა უსაქმურად ათენ-აღამონ გრძელ-გრძელ დღე-ღამეები.

გული გაგიმხიარულდებათ და თვალი გაგინათლდებათ, როცა ხედავთ ამ ოციოდე ცქრიალა, სიცოცხლით სავსე გოგონებს, რომლებიც შეუსვენებლად ატრიალებენ მწკრივად ჩარიგებულ თითის ტარებს (ჩერიებს) და თან ათვალიერებთ ამ ვითომ და «ქარხანას» თავისი საქსოვ-საპენტსართავ-სახვევ ხის მანქანებით, რომლებიც განუწყვეტლივ ტრიალებენ და ხმაურობენ ერთგული მომუშავე შეგირდების ხელში, და ყველა ამათზედ დაჰყურებს დედობრივის თვალით თვით დამაარსებელი ამ ფრიად საყურადღებო დაწესებულებისა!!

შეჰყურებთ ყველა ამას და თან ჰფიქრობთ და ნატრობთ, რომ რაც შეიძლება მეტი მოევლინოს ჩვენს საზოგადოებას ამ გვარი მშრომელი და დაუღალავი პატიოსანი პირნი, რომ მათმა შრომამ დასძლიოს ჩვენი საზოგადოების ას უკუღმართი აზრი ქალის დანიშნულების შესახებ და დაარწმუნოს იგი კიდევ ერთი მაგალითით, რომ მხოლოდ პრანჭვა გრეხა, კოპწიაობა, ცრუ პენტელაობა და «საქმროების» ძებნა არაა ბუნებისაგან მინიჭებული მოვალეობა ქალებისა!!

ქინქარი

*** **დ. სოჩა** (აფხაზეთი). მუდამ ხუმრობაც არ ვარგა. აქ, იმ კვირას სასაცილო ამბავი მოხდა: მოგეხსენებათ, სოჩაში ნაშუადღევის 4 საათიდამ კვირაობით ჰკეტვენ ხოლმე დუქნებს; ნოქრები და ვაჭრები ქუჩა-ქუჩა დაეხეტებიან, რასაკვირველია, უსაქმოდ. იმ დღესაც გამობრძანდნენ ქუჩაზე ორი ნოქარი მეგობარი და დაიწყეს ოცნებებში ცურვა. ერთმა ინატრა: «გოჩა, ნეტავი ეხლა ფულს ვიპოვიდეთ!.. «ნეტავი შენ საქმე არა გაქვსო, ვინ მოგიმზადებდა ქუჩაზე ფულსო?» და თან მალულად ამოიღო ჯიბიდამ ფულიანი ქისა (შიგ სამი მანათი იყო) და გააგდო წინ; მერმე ვითომ ნახა, აიღო და ჯიბეში იკრა: «ბედნიერი ყოფილხარ, უთხრა მეგობარს, მალე აგისრულდა ნატვრაო!»..

— რას მეუბნები, რამდენია, თუ ღმერთი გრწამს... შენ რა გაწუხებს, რამდენიცაა, იმდენი იყოს, დათვლასაც მოვახერხებ უშენოდ და მომარებასაც...—ეეე! ერთი, რომ ეგ ჩემი ნატვრის შედეგია, მერმე, ესეც რომ არ იყოს, ერთად ვნახევით და კანონით ნახევარი მე მერგებაო!... ცოტა შეკრთა ჩვენი ოინბაზი და გულწრფელად უთხრა მეგობარს: ღმერთი, რჯული, ხატი დამიფიცნია რომ ვიხუმრე, ეგ ჩემი ქისაა, შიგ სამი მანათია, ისე, ხუმრობით გავაგდე, ვითომდა შენს ნატვრაზე ფული ვნახეთო... ბევრი იდავეს და ბოლოს პოლიციაში ამოჰყვეს თავი ორთავემ. ერთმა დაიჟინი: ღმერთმანი, ფული ჩემია და ვიხუმრეო, მეორეს არა სჯეროდა: რას ამბობ, რას მიედებ-მოედები, იმ ქისაში სამასი მანათი იყო, ეგ ის ქისა არ არის... «პრისტავო», გთხოვთ «პროტოკოლი» შევადგინოთ და საქმე ზაკონის კანონით გათავდესო, რაც დაგვემართება დაგვემართოს!.- თუ მე დამეკარგება ჩემი წილი, ხაზინა მაინც ნუ იზარალებს, იმას მაინც ერგოს!».. შეადგინეს შესაფერი ოქმი და ვნახოთ რა გამოვა...

კ. სოჩელი

*** **ს. ამაღლება** (გურია). ტალახში ვიხრჩობით! დაბა ჩოხატაურიდგან 3—4 ვერსის მანძილზე დასავლეთის მხრით მდებარეობს სოფ. ამაღლება, რომელიც შესდგება შვიდასი კომლისაგან. ეს ამოდენა ხალხი ტალახში ვიხრჩობით და ჩვენი სოფლელები კი სხვაგან დაჰყავსთ გზის საკეთებლად, მაგრამ ვინ არის კაცი, რომ ეს ჩვენი გაჭირვება მთავრობას ჩააგონოს? ბ. ნ ალშიბაიას აქებდნენ: „გზებს დიდ ყურადღებას აქცევსო“ მაგრამ „როგორც ქუხს, ისე არა წვიმსო“ ანდაზა აგვისრულდა. საზოგადოდ სოფლის კეთილდღეობისათვის ზრუნვა მამასახლისის საქმეა და იმედია ჩვენი მამასახლისი ყურადღებას მიაქცევს ამ ჯოჯოხეთის მსგავს გზებს.

— **ურიგო მატრონები.** ამაღლებას რომ დროიდან რიგიანი მმართველი აღმოსჩენოდა, დღეს დაწინაურებული სოფელი იქნებოდა, მაგრამ ვინც ავირჩიეთ სოფლის მმართველად ყველამ წესად თავიანთი ჯიბის სამსახური დასდო და სოფელი სათალ დუმად მიიჩნია.

— **სწავლა-განათლების საქმე.** ამოდენა საზოგადოებაში, როგორიც ამაღლებაა, მხოლოდ ერთი ერთკლასიანი სამინისტრო სასწავლებელი არსებობს. ამ ორი წლის წინედ ეს განათლების ფარანი თოვლმა ჩასტეხა. ბრალი რასაკვირველია მამასახლის და სასწავლებლის მზრუნველებს ედებოდა, რომელთაც შეეძლოთ საზოგადოების დაქირავებული სტოროჟისათვის დაეხვეტინებიათ სახურავი, მაგრამ რაც მოხდება სოფელს გადახდებაო, ჩვენც ისე მოგვივიდა და ისედაც ათასი გადასახადისაგან გაღატაკებულ გლეხ-კაცობას ხელახლად ააგებინეს სასწავლებლისათვის შენობა, რომელიც ბლომა ფულები დაჯდა.

— **სამკითხველოს საქმე.** სალათას სილით განისვენებს ამაღლებაში. სამკითხველოს დაარსებაზე ზრუნვა ახალ-გაზდა ნასწავლ კაცების საქმეა, რომელთა რიცხვი საკმაოდ არის ჩვენს სოფელში და იმედია ეს ბატონები იკასრებენ ამ კათილი საქმის მეთაურობას.

ანდრია ზამბახიძე

*** **დ. ბაღდათი** (იმერეთი). **ორ კლასიანის სასწავლებლის დაარსების გამო.** ბაღდათლებს აგვისრულდა დიდი ხნის ნატვრა: მთავრობამ დაამტკიცა სოფლის საზოგადოების ოქმი, რომლითაც ბაღდათში დაარსებულ უნდა იქმნას ორ კლასიანი სასწავლებელი. აი, ეხლა გვმართებს მეცადინეობა, რომ მთავრობისაგან მონიჭებული უფლება რიგიანად მოვიხმაროთ, თავ და პირველი საკითხი ნივთიერი მხარეა ამ საქმისა: სკოლის შენობის ასაგებად სულ რომ ცოტა ვიანგარიშოთ, 6000 მანათი მაინც იქმნება საჭირო. ამ ფულის მოკრება ბაღდათის საზოგადოებაში მე თითქმის შეუძლებლად მიმაჩნია. ან როგორ უნდა შესძლოს ამოდენა ფულის გადახდა იმ საზოგადოებამ, რომელსაც კისერზედ აწევს 13000 მანათი ძველის წლების გადუხდელი სახელმწიფო თუ სხვა და სხვა ბეგარა, ყოველს შემთხვევაში, თუ-კი სოფელი მოახერხებს და სხვას არავის შეაწუხებს შემწეობის თხოვნით, რასაკვირველია, ქება-დიდების მეტი არა ეთქმის რა მას! ჩემის აზრით-კიბ იმ კომისსიას, რომელმაც უნდა იზრუნოს სასწავლებლის გახსნისათვის ამ თავითვე უნდა შეუდგეს უფრო საიმედო წყაროს აღმოჩენას, ვიდრე ბაღდათის საზოგადოებაა, მიიხედ-მოიხედონ მეზობლად სოფლებში, შეიტყონ რა გზით და საშვალებით აშენებენ ისინი სკოლებს; მაგალითად, დიდ-ჯიხაიშია სკოლა ავიღოთ: ეგ სკოლა თუ ნივთიერად მკვიდრს ნიადაგზე დგას და სწავლების საქმეც კარგად მიდის ეგ ყველა იმიტომ არის რომ დიდი-ჯიხაიშის სკოლას კარგი საპატიო მზრუნველი ჰყავს, თავ. ალექსანდრე ჩხეიძე, რომლის უხვის შემოწირულებით და მუდმივის ყურადღებით არა ერთს სკოლასა და კეთილს საქმეს ჩაედგა სული იმერეთში- თუ საზოგადოება გაისჯება, თავს მოიყრის თანაც არჩეული კომიტეტი ბანს მისცემს და ერთხმად სთხოვენ თავ. ალ. ჩხეიძეს, რომ ბაღდათის სკოლის საპატიო მზრუნველობაც იკისროს, იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ პატივცემული თავადი შეიწყნარებს სოფლის შუამდგომლობას და ბაღდათის მომავალს სასწავლებელსაც ნამდვილს მამობას გაუწევს.

გარდა ამისა კომიტეტი უნდა ბეჯითად დაუკვირდეს სასწავლებლისათვის ადგილის არჩევას, რომ შემდეგში უსიამოვნობა და უთანხმოება არ ასტყდეს. თვათ კომიტეტი მიხვდება, რომ სკოლისათვის წმინდა ჰაეროვანი, სიმრთელოვანი და სოფლის შუაგული ადგილი უნდა იქმნეს არჩეული და ამიტომ ამაზე ლაპარაკი მეტი მიმაჩნია.

ვარლამ ობჩელი

*** **დ. ხაშური.** **სკოლის შესახებ.** თითქმის ყველა დაბა-სოფლებიდან იწერებიან გაზეთებში, რომ ესა და ეს ერთ-კლასიანი სასწავლებელი ორ-კლასიანად გადაკეთდაო და ჩვენ ერთ-კლასიანს სკოლას არა ეშველარა. რაც აქ ერთ კლასიანი სკოლა არსებობს 15-18 წელიწადი იქნება და აქნობამდინ არავითარი წარმატება არ ეტყობა. სწავლა განათლება ჩვენს ხაშურში ლოკოკინას ნაბიჯით მიდის. ხაშურის საზოგადოება რომ პატარა იყოს მცხოვრებლების რიცხვით, კიდევ იტყოდა კაცი, რომ საზოგადოების სიმცირისა და სიღარიბის მიზეზით ვერ გადუკეთებიათო, მაგრამ ეს ასე არ არის; ხაშურის საზოგადოებაზე ვრცელი და შეძლებული ორი-სამი არ მოიპოვება ახლო-მახლო. ხაშურში თუმცა არის ერთი ორ-კლასიანი რკინის გზის სასწავლებელი, მაგრამ ჩვენთვის (ე. ი. რომელნიც რკინის გზაში არ ვმსახურობთ) უსარგებლოა, რადგანაც გარეშე პირის შვილებს არ იღებენ ამ სასწავლებელში. ამ ბოლო დროს იმედი გვეძლევა, რომ ადგილობრივის ბოქაულის და მამასახლისის მეცადინეობით იქნება გადაკეთდეს ჩვენი ჩამორჩენილი სკოლა ორ-კლასიანად. ძალიან დიდის მადლობის ღირსნი გახდებიან ზემო მოხსენებულნი პირნი, თუ ამ ყოვლად უსაჭიროესს საქმეს შეუდგებიან.

ი. დევაძე

*** **გარე-კახეთი.** **სამართალია?!** ექვსი წლის წინათ, ისედაც გალარიბებულს, დასაწყლებულს გიორგი ბეჩავაძეს კისერზედ დააწვა ერთი სირაჯის ოცი თუმანი ვალი. გიორგი ბევრს ეცადა, რომ თავისი პატარა ვენახის შემოსავლით გარდაეწყვიტა ეს ვალი, მაგრამ, რადგანაც შემოსავალი ცოტა ჰქონდა და წლიური ხარჯი შედარებით მეტი, ამასთანავე სირაჯი—მოვახშე უზომო სარგებელს თუმანზედ სამ აბაზს (75 %) ართმევდა, ამიტომ ვალს არა აკლდებოდა-რა. ვალი-კი რომ არ ელო არ შეიძლებოდა, რადგანაც მამის გარდაცვალების წლის თავის წირვა და თავის ქორწილი თითქმის ერთს დროს უხდებოდა. მართალია, პირველ ხანათ გიორგი საგონებელში ჩავარდა, მაგრამ გაჭირვებიდან მალე დაიხსნა ამავე სოფელში შემოჩვეულმა, გიორგის მეზობლის ნათლიამ, სირაჯ-გრიქულამ. ამის შემდეგ გავიდა ექვსი წელიწადი და წარსულ კვირას გლოვის ზარივით ვალზე ჩამოუარაკა გიორგის სირაჯმა.

— შვილო, ძმავ, მეგობარო, ახარ ფული რომ აიღე მიცემა უნდა თუ არა?!... ხომ იცი ვალს მოშორება უნდა!... დალოცვილო, კარგათ იცი, ჩვენ მუქთად არა ვშოულობთ ფულებს. გისესხნია—აიღე და მამეცი, რაღა! ერთი თვალით დამანახვე ჩემი ფულები და მერე ვინ პირ... დაგიჭერს... კიდევ გასესხებ...

— აბა, მაგას რაზე ჰბძანებ გრიქულ, როცა მქონია, ხომ ყოველთვის მომიცია..

— ვააა, ესტი ე!... «როცა მქონია» რომელია? მაშ ჩემი არ მოვითხოვო!.. კარგია თქვენმა მზემ!... ხე, ხე, ხე!...

— ამდენი ხანია ღვინო ღვინოთ მიგაქვს, ხანდიხან კიდევ ფულს გაძლევ და ვერ იქნა შენს ვალს თავი ვერ დავახწიე... სთქვა სიბრალულის კილოთი დაბეჩავებულმა გიორგიმ და თვალები უიმედობის ნაპერწკლებით უბრწყინავდა; იცოდა კარგად, რომ ამ სიტყვებით გრიქულას გულს ვერ მოულბობდა!..

— ერთი უყურე და! სთქვა გრიქულამ და მერე ცოტა დუმილის შემდეგ დაუმატა:—როგორ თუ მაძლევდი და ვერ შევისრულე?! თუ მოგიცია—მიღებულიც მექნება რაღა!...

ლაპარაკში შეჰყვნენ ერთმანეთს, ბოლოს გაბრაზებულმა გრიქულამ უთხრა:

— ჩემი ბრალი აღარ იყოს, თუ რამე მოგივიდეთ... მე დავი-დარაბის თავი არა მაქვს; ამდენი თხოვნითაც გავბეზრდი-ო...

და წავიდა...

—

გიორგიმ იგრძნო, რომ გრიქულას გაჯავრება და დამუქრება კარგს არას მოასწავებდა...

ერთი კვირის შემდეგ მამასახლისი აღმასრულებელი ფურცლით თავს დაადგა. შესწუხდა გიორგი; აქეთ ეცა, იქით ეცა, დანა ყელზე დააჭირეს და ვიღუპებოდა. როგორმე უნდა ეღონა რამე თორემ ცეცხლზედ წყალი დაესხმებოდა. ფული უნდა ეშოვნა, მაგრამ საიმედო არავინ ეგულებოდა... როგორც იქმნა გაბედა და მიმართა ბუღდანას ფულის სასესხებლად.

ბუღდანა საგარაკოდ არის სოფელში და თავის «მამულში» და მოწინავე, პირველ კაცად ითვლება, არამც თუ გლეხებში, არამედ თავად-აზნაურებშიაც. მისი სახელი, როგორც შეძლებული სოვდაგარისა განთქმული არის შორით შორსა... ბლომა ფული აქვს და რაცა ჰსურს, იმას შეისრულებს; ფული მის ხელში იარაღია და ამ იარაღით ყოველ საქმეს თავისს სასარგებლოდ ატრიალებს... ფული ბუღდანასათვის ჩარხი არის და თვით კი ჰახრაკი; სამს თუმანში ხუთ თუმნის თამასუქს ართმევს, თან აწერინებს, ვითომც რომ ფულსა უსარგებლოთ აძლევს—ასესხებს. რა არის სახელი არ გამიტყდესო, მოვახშეობა არ დამწამონო!..

— აბა შენი ჭირიმე ყელი მეჭრება და უნდა დამიხსნა... როგორც მეზობელი გეხვეწები... ვენახი მეყიდება და თუ არ მიშველი, ცეცხლზე წყალი დამესხმება...

— ფული გინდა?—ჰკითხა მძიმედ ბუღდანამ,-განა მაგრე ადვილია ფულის გავალება?!.. რამდენი გინდა?

— თორმეტი თუმანი მმართებს მოვახშისა.

— თორმეტი?!...

— დიახ....

— მერე რა ვადით, ან „სარფას“ რას მაძლევ?

— აბა რასაც შენ ინებებ შენი ჭირიმე, წინ როგორ წაგივალ! სჯობია ისევ შენი მემართოს, ვიდრე სხვისა, ჩვენი ხარ, ჩვენ მიწა-წყალზე სცხოვრობ უთხრა გიორგიმ და მერე თითქმის მორიდებით დაუმატა:

— სჯობს შინაურმა შემჭამოს, კანც სხვამ.

— ბრიყო, საქმე შეჭმაზე არ არის; აქ ფულია, ფული!.. წაიღე და ათი საპალნე ღვინო ჩამიწერე..

— ათი?!.. ჰკითხა გაშტერებით გიორგიმ და თან ფერი ეცვალა.

— ჰო. მტკიცეთ უთხრა ბუღდანამ.

— ეგ... როგორ იქნება შენი ჭირიმე!?.. განა სარგებელს რას იღებ?...

— რის სარგებელი, რას მიჰკარავს—განა ფულს სარგებლით გაძლევ... თუ გინდა წაიღე ფული, თუ არა და იმ ვენახს გაგიყიდიან და დამრჩები ცარიელ-ტარიელი!....

აღმასრულებელი ფურცლის ძალით-კი, მოვახშის სასარგებლოთ ვენახი უნდა აეწერათ და გიორგის ეს არ უნდოდა..., მამაპაპეული ვე-

7

ნახი, «ვაზი . შვილივით ნაზარდი» უყვარს და მისი დაკარგვა შვილის სიკვდილივით გულსა... სდაგავდა ბულდანა თვის მტკიცე გარდაწყვეტილებაზე დამდგარი თორმეტ თუმანში ათს საპალნე ნაკლებს არ სთანხმდებოდა...

— ეჰ, ჯანდაბას ჩემი თავიო, სთქვა გიორგიმ, ჩაუწერა თამასუქში ათი საპალნე ღვინო და თორმეტი თუმანი ჩააბარა მოვახშეს.

გრიჭულა კბილთა ღრჭენით გაბრუნდა.

— ეჰ, მახლას! — სთქვა მან. — არ იქნა, ხელში ვერ ჩავიგდე ვენახიო! და ბულდანამ-კი დამშვიდებულის სინიდისით ჯიბეში ჩაიდო ათი საპალნის თამასუქი (სულ ცოტა 70 თუმნად უნდა გაიყიდოს ეს ღვინო). გიორგი ჯავრში ჩავარდა: დარწმუნებულია, რომ ათს საპალნე ღვინოს მისი ვენახი ათის წლის განმავლობაშიაც ვერ გარდაიხდის...

გიორგიმ დოინჯით, ორივ ხელები ქამარს ჩაჰბღუჯა, თითქოს მათზე ყრილობს ჯავრსაო, ნაღვლიანის გულით და დანაოჭებულის სახით გაჰხედა მიმავალს ბულდანას:

— ოოჰ, ღმერთო და ბედო, ე რა ცეცხლია!.. როდის უნდა გარდავიხადო ათი საპანე ღვინო?!. ვოჰიმე, ესეც სამართალია?!.

—

საბრალო გიორგი თვით უხარო კაცია და ვენახის შემოსავალიც ხელიდან გამოეცალა მისს ოჯახს: ცოლსა და სამს პატარა ბალღსა... ასრედ უმწეოდ ჩაუვარდნენ პირში სიღარიბეს.

ვინ არის ყურის მგდებელი, ვინ არის მფარველი ტანჯულ-ჩაგრულთა?—

არავინ...

თვით სინდისიც-კი, რომელიც ადამიანს ნადირისაგან განსაზღვრავს, ჩამქრალა, მიმკვდარებულა!

ხაშმელი სოსიკა

შემოწირულება

ქართვ. სტუდენტების სასარგებლოდ

ჩვენ მივიღეთ პეტერბურგის ქარ. სტუდენტ. სასარგებლოდ:

იოსებ საველ. ძნელაძისაგან 1 მ.
სერგეი გელაშვილისაგან . 50 კ.
სულ 1 მ. 50 კ.
წინანდელი იყო (ცნ. ფ. № 396) 56 მ. 35 კ.
სულ შემოსულია 57 მ. 85 კ.
მათ შორის ოდესის სტუდ. თანხა . . . . . . 49 მ. 50
პეტერბურგის სტუდენტ. 8 მ. 35

რედაქცია ღებულობს ყოველგვარ წვლილს სხვა-და-სხვა უნივერსიტეტის ქართველ სტუდენტების სასარგებლოდ. მსურველთ შეუძლიანთ შემოწირულება ფოსტის მარკებითაც გამოგზავნონ. შემომწირველთა სია ყოველთვის დაიბეჭდება. შემოწირულება მიიღება ერთი კაპიკიდან მოყოლებული.

ვალერ. გუნია.

ყურ-მოკრული საუბრები.

—

სადღესასწაულო საჩუქარი. დიდი ჯალაბობის პატრონს, რომელსაც სადღესასწაულოდ ათასი სხვა-და-სხვა სასყიდელი ჰქონდა შინაურებისათვის, ცოლმა ნაზად ჰკითხა:

— რა გიფეშქაშო, ჩემო კარგო, სადღესასწაულოდ!

— თოკი, და რაც შეიძლება მსხვილიო, შხამიანად მიუგო ქმარმა.

სიმთვრალეში. — როგორ მოგწონს ჩემი საცოლე? ჰკითხა ერთმა თავისს დიდი ხნის მეგობარს.

— მე იმას ცოტათი ვიცნობ, მომეტებულად სულ სიმთვრალეში მახსოვს...

— როგორ თუ სიმთვრალეში?

— ნუ გეშინიან — მე ვიყავ ხოლმე მთვრალი და სიმთვრალეში არ მახსოვს კარგად...

* * *

სამეურნეო ცნობა

—

ზამთრობით ცხვრების მოვლა. ზამთრობით ცხვრის კარზე გამოყვანა ყოველს დროს შეიძლება, ხოლო ჭაერი ნესტიანი არ იყვეს. «ცივი ზამთარი ცხვრისათვის საშიში არ არისო", ამბობენ ხოლმე მეცხვარები. მართლაც, ყველაზე ცუდი და სახიფათო დრო ცხვრისათვის ცივი ზამთარი კი არ არის, არამედ ის დრო, როცა თოვლი დნება და ჭაერი ნოტიოვდება. ამიტომ დიდი სიფრთხილე მართებთ მწყემსებს ამ ხანებში. ცხვრის მარილით კვება ზამთრობით უფრო საჭიროა, ამიტომ ბაგების ზეგით კარგია მარილით სავსე პარკები დაჰკიდონ, რომ ცხვარმა, რამდენიც უნდა, იმდენი ლოკოს.

თუ სურთ საჭმელი ნოყიერი და გემრიელი იყვეს, თივას დადგმის დროს (სათივეზე) ყოველ $2^1/_2$ გირ. თივას $^3/_4$ გირ. მარილი უნდა მიუმატონ, რას გამოც თივა ძრიელ გემრიელ საჭმელად ხდება და ცხვრებიც სიამოვნებით სჭამენ.

ფარეხზე დადგმულს თივას ცუდი სუნი ეძლევა და ამიტომ საჭმელად აღარ გამოდგება, მხოლოდ შეიძლება ფეხქვეშ გაუფინონ.

ქატო, რომლის სინოყიერეს და სარგებლობას ბევრნი, სრულიად უსაფუძვლოდ, უარს ჰყოფენ, ძრიელ კარგი საჭმელია ცხვრებისათვის და ძრიელაც ასუქებს ცხვრებს და უხდებათ კიდეც.

ჰ. გაბო

* * *

წვრილი ამბავი

—

უარი თეატრის კურთხევაზედ. ქ. პერმში ახალი თეატრი ააშენეს და სთხოვეს ადგილობრივს ეპისკოპოზს ნებართვა თეატრის კურთხევისა, რაზედაც ეპისკოპოზმა უარი განუცხადა. თეატრის დირექციამ მაშინ პირდაპირ სინოდს სთხოვა ნებართვა, მაგრამ იქიდგანაც უარი მოუვიდათ. ეს ამბავი ტყუილსა ჰგავს, მართალი რომ არ იყოს!

* * *

სამეცნიერო ცნობა

—

რომელ ხალხში უფრო მიღებულია კოცნა. კოცნის ქვეყანა ამერიკის სამხრეთ მხარეს პარაგვაის შეიძლება დაერქვას. იქ ყოველი კაცი მოვალეა აკოცოს ყოველს ქალს, სადაც კი გაიცნობს. აღდგომის დღეს, აქ ყველანი ჰკოცნიან ერთმანეთს და ასე გაშინჯეთ სრულიად უცნობებიც კი. ვინც გინდა იყვეს, თქვენ თავისუფლად შეგიძლიანთ ქუჩაში მომავალს ქალს აკოცოთ და თუ ეს არ შეასრულეთ, ძრიელ გაგკიცხავენ. ინგლისში კოცნა უფრო მიღებულია წმ. ვალენტინის დღეს. ამის გარდა „რაილში" მოსამართლეს ნება აქვს ადგილობრივი ქალაქის თავის ცოლს აკოცოს, «როცა და სადაც კი მოისურვებს». გუნგერდფირდში, ყურძნის კრეფის დროს, ორ კაცს ირჩევენ, რომელთაც ნება ეძლევათ ყველა ქალებს, გასათხოვრებს და გათხოვილებს, აკოცონ, რომლებიც რთველში მივლენ. აქ კოცნა თითქმის ცერემონიების სიებშია შესული. ირლანდიის ვიცე-კოროლის მიღების დროს ყველა კაცები ერთმანეთს ჰკოცნიან. ქალების კოცნა კი მხოლოდ მაშინ შეიძლება, თუ იქ უცხო ვინმე არ იმყოფება. ფინელს ქალებში საჯაროდ კოცნა განდევნილია და ყველასათვის საზიზღარი. ფინელი ქალის კოცნა მისი დიდი შეურაცყოფაა. აქაური კანონების ძალით ქალს ნება არა აქვს არამც თუ საქმროს აკოცოს, არამედ თავის ქმარსაც. საქართველოშიც თითქმის ასეა. ქართველებს ჯერ არ მოსცხებიათ ტალახი სოციალური გარყვნილობისა და ამიტომ უცხო კაცს არასოდეს არ აკოცებენ. თვით ნათესავების კოცნაც კი ერიდებათ და ერცხვინებათ, რა თქმა უნდა, საჯაროდ!

ჰ. გაბო

განცხადებანი

1-ლ იანვრიდან 1898 წ.
გაქირავდება 1-ლ თუმანოვის ქუჩაზე
კუთხის **სარდაფი**
პირობა მოიკითხონ იქვე მთვარელიშვილის სახლში № 18. (6—2)

იძლევა ქირით
ოთხი ოთახი
წყლით და მისი კუთვნილებით
საპიორნის ქუჩა, № 4, ალექსანდრის ბაღის პირდაპირ. (3—2)

ქალაქის გამგეობა

ამითი აცხადებს საყოველთაო საცნობელად, რომ იმ ეტლებისათვის რომელთაც თვლებზედ შირა (რეზინი) აქვთ გადაკრული, სხვა ნიხრი არ არსებობს და ფასი ამ ეტლით სიარულისათვის იგივეა, რაც უშირაო (ურეზინო) ეტლებისათვის. ამიტომ ქალაქის გამგეობა სთხოვს ყველას, თუ ვინიცობაა, მეეტლემ დაწესებულ ნიხრზედ მომეტებული ფასი ითხოვა შირით გადაკრულ თვლებიან ეტლით სიარულისთვის, შეატყობინოს ეს ქალაქის გამგეობას პირადად ანუ ფოსტით. (3—2)

საქართველოს ყველა წიგნის მაღაზიებში იყიდება
თ. სახოკიას შედგენილი
რუსულ-ქართული
ლექსიკონი
ფასი 20 კ.

საზღვევი საზოგადოება
„იაკორი"
უმაღლესად დამტკიცებული 1872 წელს მოსკოვში

ტფილისის უმთავრესი სააგენტო ღებულობს:

დაზღვევას ცეცხლისაგან
ყოველ-გვარ უძრავ და მოძრავ ქონებისას.

დაზღვევას სიცოცხლისა და თანხებისა
შეღავათიანის პირობებით, მაგალითად შეღავათი იმ შემთხვევაში, როცა დაზღვეულს შრომა არ შეუძლიან და აგრეთვე დაზღვეულს სარგებლობა ეძლევა საზოგადოების მოგებიდან.

დაზღვევა უბედურ შემთხვევისაგან
მიიღებიან საერთოდ დაზღვევა მუშებისა, ქარხნებსა და სახელოსნოებში, აგრეთვე დაზღვევა კერძო პირებისა.

დაზღვევა გაგზავნილ საქონლებისა
ზღვაზედ, მდინარეებზედ თუ ხმელეთზედ, აგრეთვე დაზღვევა გემებისა.

თხოვნებით და ყოველ-გვარ ცნობათა შესატყობად დაზღვევაზე შეიძლება მიჰმართონ ტფილისის კონტორაში უმთავრესს აგენტს ალექსანდრე გრიგოლის ძე სერგეევს, ერევნის მოედნის ყურში, თავ. ციციშვილის სახლებში № 2.

Страховое Общество **„ЯКОРЬ"**
Высочайше утвержденное въ 1872 г. въ Москвѣ

Принимаетъ: Страхованіе отъ огня, страхованіе жизни и капиталовъ страхованіе отъ несчастныхъ случаевъ и страхованіе транспортовъ.
Контора Тифлисскаго Главнаго Агента, Александра Григорьевича Сергѣева
на углу Эриванской площади, д. кн. Циціанова № 2.
(100—82)

1898. — открыта подписка — 1898.
на ежедневную политическую, ученую и литературную газету
безъ предварительной цензуры

СЫНЪ ОТЕЧЕСТВА

Годъ изданія 86-й — ПЕРВОЕ ИЗДАНІЕ — Годъ изданія 86-
издаваемую Высочайше утвержденнымъ Спб. Акціон. обществомъ печатнаго дѣла „Издатель"
подъ редакціей А. К. Шеллера [А. Михайлова].

Поставивъ своей главнѣйшей задачей дать читателямъ за недорогую цѣ интересную, живую и правдивую газету, отвѣчающую на вопросы, выдви емые жизнью, общество „ИЗДАТЕЛЬ" пригласило къ участію въ газетѣ, кро прежнихъ сотрудниковъ, новыя литературныя силы. Ближайшее участіе газетѣ принимаютъ:

Я. **В.** Абрамовъ, Л. А. Авилова, К. С. Баранцевичъ, **В. В.**, Н. Г. Гаринъ (Михайловскій), В. Г. Генкенъ. М. Б. Городецкій, И. Ивановичъ, С. Н. К., Н. В. Максимовъ, Д. Н. Маминъ-Сибирякъ, Г. А Мачтетъ, **К.** В. Назарьева. Вас. И. Немировичъ-Данченко, И. Н. Потапенко, Н. О. П женскій, Э. Л. Радловъ, Н. А. Ру кинъ, А. Сакмаровъ, **А. М.** Скаб чевскій, М. Слобожанинъ, **К.** Станюковичъ, **В. А.** Тимирязев , А. М. Хирьяковъ, **А. К.** Шелле и др.

Въ ежедневныхъ нумерахъ газеты **„сынъ отчества"** помѣщается: руководящія статьи и замѣтки по всѣмъ современнымъ вопросамъ политики, литературы, науки, экономической и общественной жизни, во всѣхъ ея проявленіяхъ, административныя и придворныя извѣстія, а также корреспонденціи какъ заграничныя, такъ и внутренія, телеграммы (внутреннія и иностранныя): статьи по военному дѣлу, сельскому хозяйству, истор ческія статьи и замѣтки, торгов промышленныя и биржевыя свѣдѣн судебные отчеты, литературныя, теа ральныя и музыкальныя рецензіи, б бліографіи, біографіи и некрологи с временныхъ общественныхъ дѣятеле фельетонъ общественной жизни беллетристика, русская и иностр нная.

Кромѣ ежедневныхъ нумеровъ газеты, Годовые подписчики получатъ 52 НУМЕРА ВОСКРЕСНЫХЪ ПРИЛОЖЕНІЙ, печатаемыхъ **въ видѣ еженедѣль наго иллюстрированнаго журнала**, гдѣ помѣщаются: историческіе и современны романы, повѣсти, разсказы, стихотворенія и проч.

300 ХУДОЖЕСТВЕННЫХЪ РИСУНКОВЪ: портреты историческихъ и совреме ныхъ общественныхъ дѣятелей, историческія, бытовыя и современныя илл страціи, а также карикатуры, шахматныя, шашечныя задачи и проч., что в теченіе года составитъ большой сборникъ интересныхъ литературныхъ прои зведеденій и иллюстрацій.

ПОДПИСНАЯ ЦѢНА на первое изданіе (съ доставкою:)
На годъ **8** р.—На полгода **4** р.—На три мѣс.—**2**—р. На одинъ мѣсяцъ **1**
Годовые подписчики газеты „Сынъ Отечества", уплатившіе сполна годову подписную сумму, могутъ получить художественное изданіе

Библія въ картинахъ знаменитаго художника г. Дорэ.
(200 картинъ въ изящной оберткѣ).

Цѣна для подписчиковъ за экземпляръ безъ доставки 1 р. 50 к., а з прежнія изданія: портреты Ихъ Величествъ, «Бурлаки на Волгѣ», «Аѳон и проч., уплачиваютъ за каждый экземпляръ картины—**одинъ рубль** (съ д ставкою). Безъ доставки въ Спб.—**75** к.

Требованія просятъ адресовать въ главную контору: Спб., Невскій пр., д. № 68-4
(10—1)

Дозволено цензурою. Тифлисъ, 20-го Декабря, 1897 г. სტამბა ექ. ი. ხელაძისა, ლორის-მელიქოვის ქ., № 28. რედაქტორ-გამომცემელი ვალ. გუნია